

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის
2013 წლის 1-ლი თებერვლის სხდომის
ოქმი =21

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 17. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ეკლესიის მშენებლობისათვის ადგილის გამოყოფის შესახებ. აკადემიური საბჭოს 28 იანვრის დადგენილება №868 – რექტორის, პროფ. არჩილ ფრანგიშვილის ინფორმაცია;

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: რამდენიმე წლის წინ ჩვენ გვინდოდა ეკლესიის აშენება ტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. აღმოჩნდა, რომ იქ არის წითელი ზოლი და ეს ჩვენი ტერიტორია არ ყოფილა. ასევე, ახლოსაა შახტა-ლაბორატორია, რის გამოც სამშენებლო სამუშაოები შეუძლებელი გახდა, ამიტომ გთავაზობთ სხვა საშუალებას. სავალი გზის გვერდით გამოიყოფა ფართი, სადაც შესაძლებელია ეკლესიის აშენება. ასევე, მოხდება შეთანხმება საპატრიარქოსთან. მოგეხსენებათ, რომ ფართი, რომელზეც აშენდება ეკლესია, აუცილებლად უნდა გადაეცეს საპატრიარქოს. თქვენ შეგიძლიათ მოიწონოთ ეს იდეა ან არ დაეთანხმოდით. ეს საკითხი ასევე განიხილებოდა აკადემიურ საბჭოზე და დადებითად გადაწყდა.

პროფ. აგული სოხაძე: მივესალმები, ბრწყინვალე იდეაა, ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ პროექტში. ეს მომავლის საქმეა.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ადგილიც შესანიშნავად არის შერჩეული სივრცის თვალსაზრისით, მაგრამ დაფინანსებაზე ხომ არ გიფიქრიათ, საიდან იქნება მოძიებული თანხები?

სპიკერი: შესაძლებელია პატრიარქის მოწვევა?

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: უნდა შეიქმნას ფონდი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება ეს პროექტი. ასევე მინდა გითხრათ: პატრიარქი მომხრეა ამ იდეის და მზადაა როცა გადაწყდება ეს საკითხი, აღავლინოს სარიტუალო წირვა-ლოცვა.

სპიკერი: თუკი სენატი აღნიშნულ საკითხზე მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას, კარგი იქნება აკადემიური საბჭოსა და სენატის ერთობლივი გადაწყვეტილება შემუშავდეს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის გაერთიანებულ სხდომაზე რექტორმა, პროფ. არჩილ ფრანგიშვილმა წარმოადგინა საკითხი, რომელიც ეხებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ეკლესიის მშენებლობას და ამ მიზნით ადგილის გამოყოფას.

ამასთან დაკავშირებით აკადემიურმა საბჭომ და სენატმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება:

1. მოწონებულ იქნეს რექტორის, პროფ. არჩილ ფრანგიშვილის წინადადება და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აშენდეს ეკლესია;
2. აღნიშნული ეკლესიის მშენებლობისათვის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გამოიყოს ტერიტორია სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის შენობასა და კოსტავს ქუჩის №75 საცხოვრებელ სახლს შორის და გადაეცეს საპატრიარქოს.
3. დაევალოს სტუ-ს უფროს სპეციალისტს, სტუ-ს სენატის წევრს, არქიტექტურული ჯგუფის ხელმძღვანელს, პროფ. ზურაბ ტიტვინიძეს ეკლესიის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
4. ეკლესიის მშენებლობის ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად ხელმძღვანელობა დაევალოს რექტორის მრჩეველს ბ-ნ ვანო გორგიძეს.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-სთან “არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ალგორითმული და პროგრამული

მეთოდების შესწავლის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №846 – მომხსენებელი პროფ. გიორგი დიასამიძე.

პროფ. გიორგი დიასამიძე: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-სთან „არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ალგორითმული და პროგრამული მეთოდების შესწავლის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სამწუხაროდ, დღეს უნივერსიტეტში ვერ მოდის ისეთი მომზადებული ახალგაზრდობა, რომელიც დაეუფლება იმ საფუძვლებს, რაც ისწავლება ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამიტომ გაჩნდა იდეა, რომ გადავინაცვლოთ სკოლაში და იქვე მოხდეს საჭირო საგნების სიღრმისეულად შესწავლა.

პროფ.დავით ჯაფარიძე: ფინანსები მოძიებული გაქვთ?

პროფ. გიორგი დიასამიძე: ცენტრი იქნება თვითდაფინანსებაზე. მოძიებულია თანხები უცხოეთიდანაც.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის =21 სხდომაზე პროფ. გიორგი დიასამიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ალგორითმული და პროგრამული მეთოდების შესწავლის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №846.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ალგორითმული და პროგრამული მეთოდების შესწავლის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-სთან „ბიომრავალფეროვნება და ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების გამოყენების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №847 – მომხსენებელი პროფ. თამარ კაჭარავა.

პროფ. თამარ კაჭარავა: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-სთან „ბიომრავალფეროვნება და ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების გამოყენების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს უნიკალური ფიტოგენეტიკური რესურსი საჭიროებს გაფრთხილებას, დაცვას და აღდგენას. გვსურს ვიმუშაოთ ამ საკითხზე. ცენტრი იქნება თვითდაფინანსებაზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის =21 სხდომაზე პროფ. თამარ კაჭარავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „ბიომრავალფეროვნება და ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების გამოყენების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №847.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „ბიომრავალფეროვნება და ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების გამოყენების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან „გარემოს მონიტორინგისა და საინჟინრო ეკოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №848 – მომხსენებელი პროფ. ნინო მუმლაძე.

პროფ. ნინო მუმლაძე: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან „გარემოს მონიტორინგისა და საინჟინრო ეკოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. ცენტრი იქნება დაკავებული გარემოს მონიტორინგით და კვლევებით ამ საქმეში გვსურს ჩავერთოთ სტუდენტები და სკოლის მოსწავლეებიც. ცენტრი იქნება თვითდაფინანსებაზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის =21 სხდომაზე პროფ. ნინო მუმლაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან „გარემოს მონიტორინგისა და საინჟინრო ეკოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №848.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან „გარემოს მონიტორინგისა და საინჟინრო ეკოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორიის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №849 – მომხსენებელი პროფ. შოთა დოლონაძე.

პროფ. შოთა დოლონაძე: ამ ცენტრის შექმნა განპირობებულია იმით, რომ გვსურს გავაუმჯობესოთ სამეცნიერო საქმიანობა, ვინაიდან ამ მიმართულებით საკითხი აქტუალურია და ჩვენც გვსურს ფეხი ავუწყოთ რეალობას. ლაბორატორია ეცდება გრანტების მოძიებას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის =21 სხდომაზე პროფ. შოთა დოლონაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორიის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №849.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორიის“ შექმნა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – სტუ-სთან „წარმოებასთან კავშირის საინოვაციო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №850 – მომხსენებელი პროფ. ალექსანდრე ედიბერიძე.

პროფ. ალექსანდრე ედიბერიძე: წარმოგიდგინთ საკითხს სტუ-სთან „წარმოებასთან კავშირის საინოვაციო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. ამ პროექტის ხანგრძლივობა არის სამი წელი. მისი ძირითადი ამოცანაა ევროპის უნივერსიტეტებში საწარმოო ცენტრებთან კავშირის შექმნა. აღნიშნული ცენტრის მეშვეობით მოხდება სასწავლო-სამეცნიერო პროცესების ოპტიმიზაცია და თანამედროვეობასთან დაახლოება. ცენტრში ჩართული იქნებიან როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტები

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის =21 სხდომაზე პროფ. ალექსანდრე ედიბერიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „წარმოებასთან კავშირის საინოვაციო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №850.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „წარმოებასთან კავშირის საინოვაციო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - სტუ-სთან „სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების

დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №851 – მომხსენებელი პროფ. თემურ ფანჯიკიძე;

პროფ. თემურ ფანჯიკიძე: აღნიშნული ცენტრი იმუშავებს თვითდაფინანსების პრინციპით და ორიენტირებული იქნება სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური კვლევების ჩატარებაზე, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის =21 სხდომაზე პროფ. თემურ ფანჯიკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №851.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი - სტუ-სთან „ინოვაციური სატრანსპორტო ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №864 – მომხსენებელი პროფ. თეიმურაზ თუმანიშვილი;

პროფ. თეიმურაზ თუმანიშვილი: ცენტრის მიზანია ჯერჯერობით ერთი კონკრეტული თემის შესასწავლა. ეს გახლავთ ინოვაციური სატრანსპორტო ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარება, რომელიც წინასწარ უკვე გამოკვლეულია და, ასევე, არსებობს გარკვეული შედეგებიც. ახლა გვსურს, უფრო აკადემიურად შევისწავლოთ ეს საკითხი, რათა ტექნიკურ უნივერსიტეტს შეეძლოს სათანადო დასკვნების გამოტანა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის =21 სხდომაზე პროფ. თეიმურაზ თუმანიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „ინოვაციური სატრანსპორტო ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №864.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „ინოვაციური სატრანსპორტო ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხი, რომელსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმოგიდგენს ინფორმაციის სახით - სტუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების შრომითი ანაზღაურების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №858 – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ იგეგმება ყველა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შრომითი ანაზღაურების გაზრდა, რაც გაუთანაბრდება დეკანის შრომით ანაზღაურებას.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მივესალმები ამ იდეას, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, დეკანის თანამდებობა უნდა აღემატებოდეს ფაკულტეტზე არსებულ ყველა სხვა თანამდებობას და, შესაბამისად, ანაზღაურებაც მეტი უნდა ჰქონდეს.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს, რომელიც არ არის დღის წესრიგით გათვალისწინებული. 2013 წელს ვაჟ კალათბურთელთა გუნდის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული არ არის, მაგრამ გუნდი განაგრძობს მიმდინარე სეზონში მონაწილეობას, ამიტომ მათი შრომის ანაზღაურება

უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 1-ლი თებერვლის =21 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ვაჟ კალათბურთელთა გუნდის დაფინანსების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: იმის გამო, რომ 2013 წელს გუნდის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული არ არის, მაგრამ გუნდი განაგრძობს მიმდინარე სეზონში მონაწილეობას, მათი შრომის ანაზღაურება განხორციელდეს უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლებით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 100 000 ლარის ოდენობით, ხოლო საწევრო გადასახადი – ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლებით, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან 15 000 ლარის ოდენობით.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე

